

# ევროპული ღირებულებები: რა განვასხორციელოთ საქართველოში და როგორ განვასხორციელოთ

ევროპული ინდიკატორები და  
საქართველო  
ეკონომიკისა და ბიზნესის  
აქტუალური პრობლემები  
გლობალიზაციის  
თანამედროვე პირობებში

საერთაშორისო სამეცნიერო-  
პრაქტიკული კონფერენცია

თეორია, მეთოდოლოგია,  
სისტემური პრობლემები

## მერაზ გველესიანი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი

## შოთა ვეზაძე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული  
თავდაცვის აკადემიის პროფესორი

### საკვანძო სიტყვები:

ღირებულებები, ილია ჭავჭავაძე, ეროვნული ღირებულებები

ყოველი ერის თვითმყოფადობა მის ღირებულებებს ეფუძნება – მათი განხორციელებით მიიღწევა და აისახება კიდევ მათში, რამდენადაც ღირებულებები ერის კულტურის კონცენტრირებულ გამოხატულებას წარმოადგენენ. ხოლო, თუ ერთი საკუთარ, სხვათაგან განსხვავებულ ღირებულებით ორიენტირებს კარგავს, ამით იგი კარგავს საკუთარ სახეს.

გლობალიზაციის ეპოქა სულ უფრო მძაფრად აჩენს “ოქროს მილიარდის” ქვეყნების ღირებულებათა მიმზიდველობას. ხომ არ უქმნის ეს საფრთხეს იმ ერების თვითმყოფადობას, რომლებიც მათ ღირებულებებს იზიარებენ და ანხორციელებენ? კულტურულად ჩამორჩენილ ერებს ეს საფრთხე ადრე თუ გვიან უთუოდ გაუჩნდებათ. ისეთი კულტურული ერისთვის კი, როგორც ქართველობა, კანონზომიერი ის იქნება, თუ მისი ეროვნული კულტურა შეინოვს პროგრესულ უცხოურ ღირებულებებს და ამით კიდევ უფრო აამაღლებს და გაამდიდრებს თავისას. ისტორიული გამოცდილებაც გვიჩვენებს, რომ დამპყრობელთა შედარებით დაბალი

კულტურისგანაც კი ქართველი ერთი ახერხებდა აელო რაციონალური მარცვლები, თუმცა მთლიანობაში, ძნელბედობას დიდი ზარალი მოჰქონდა მისი სულიერებისთვის.

“ოქროს მილიარდის” ღირებულებებისკენ სწრაფვა დღეს ბუნებრივია და უფრო მეტი სიკეთის მომტანიც, ვიდრე წარსულში მოუტანია ჩვენთვის უცხოურ ღირებულებათა გაზიარებას. ოღონდ გააჩნია, რა მიზეზებითა და ფორმებით ჩნდება იგი: იმ მიზეზებით, რომ სრულყოფილ საკუთარი ღირებულებები და საკუთარი თავი, თუ უბრალო წამბაძველობითა და იქაური ცხოვრებისგან თვალის მოჭრით ანუ სიბრმავეთ; რა ფორმით წარმოგვიდგენია მათი გაზიარება – ბრმადვე გადმოღებას ვაპირებთ თუ ჩვენს ფესვებზე აღმოცენებულ ღირებულებებთან მისადაგებას.

ამრიგად, პრინციპი იმისა, რომელი უცხოური ღირებულებების განხორციელება დავისახოთ მიზნად, შემდეგია: **უნდა შევეცადოთ ნებისმიერი პროგრესული ღირებულების განხორციელებას, რომელიც კი თავსებადი**

**იქნება ჩვენი კულტურისადმი იმის მიუხედავად, რომელი ქვეყნისა და ხალხისაგან მომდინარეობს იგი.** აქ დავაკონკრეტოთ ამოცანა ჩვენი თემის მიხედვით: გავარკვიოთ, რატომ არის ქართული კულტურის “სულთან” შედარებით ახლოს ევროპული ღირებულებები, ვიდრე სხვა რეგიონების და ქვეყნებისა, მათ შორის – უმდიდრესი აშშ-სი.

ზოგადი შედარებაც გვიჩვენებს, რომ დასავლეთევროპული ღირებულებები უფრო ღრმა ტრადიციულ ძირებზეა მოსული, უფრო ჰუმანურია და შემწყნარებლური, ვიდრე ამერიკული ღირებულებები. ამდენად, ისინი უფროა თავსებადი ქართველობის ბუნებასთან.

ჭეშმარიტ ღირებულებათა მწვერვალზე თვით ადამიანი დგას. იგია, მისი სიცოცხლე, მისი თავისუფლება და მისი კეთილდღეობა უმაღლესი ღირებულება. აშშ-შიც ამ მწვერვალზე დგას იგი, ოღონდ სახელმწიფო პოლიტიკა არჩევანს მაინც აკეთებს უპირატესად ძლიერ, “ფზიან” ადამიანთა სასარგებლოდ, რაკი მათგან ქვეყანა მეტ სარგებლობას ელის. ეს იმას მოასწავებს, რომ რეალურად, თვით მისი არსებობაა მიჩნეული უფრო მაღალ ღირებულებად, ვიდრე დანარჩენებისა. ამ პრინციპს თავისი დადებითი მხარე აქვს, იგი შთამბეჭდავ ეკონომიკურ შედეგს აძლევს ქვეყანას და ამით, შთამბეჭდავ მაგალითს – მთელ მსოფლიოს. დასავლეთევროპული პოლიტიკის პრინციპი საპირისპირო როდია, ოღონდ ესოდენ სწორხაზოვანი არ არის. იგი უფრო ტევადია და სიღრმისეული. იგი მიისწრაფვის შედარებით თანაბარი სასტარტო მდგომარეობის შექმნისაკენ ყოველი ადამიანისათვის, რათა უზრუნველყოს არა მხოლოდ მათი არსებობა, არამედ მათ მიერ თავიანთი ნიჭისა და უნარების თავისუფალი განვითარებაცა და გამოვლენაც. სოციალური პოლიტიკა აშშ-ში არანაკლებ ეფექტიანია, ვიდრე დასავლეთევროპულ ქვეყნებში. მხოლოდ მისი მასშტაბებია შედარებით ვიწრო, რადგან ეს ქვეყანა არ აშენებს სოციალურ საბაზრო ეკონომიკას, ევროკავშირის სწორედ ასეთი ეკონომიკა “უნერია დროშაზე”.

დემოკრატიული ღირებულებები და მათი განმამტკიცებელი ინსტიტუტებიც დასავლეთ ევროპაშია უფრო ძლიერი. საკმარისია ითქვას, რომ აშშ-ში, რომელიც დემოკრატიის ბურჯადაა ნოდებული, ადგილობრივი ხელისუფლება ფართო ლეგიტიმაციით სარგებლობს, მაგრამ იგი მაინც სახელმწიფო სტრუქტურაა და არა – ტერიტორიული (ადგილობრივი) თვითმ-

მართველობის ორგანო.

ხოლო ევროპა ადგას თვითმმართველობის განვითარების კურსს (ჩვენი მოხსენების ბოლოს ამ საკითხზე საგანგებოდ შევჩერდებით).

შეიძლება გაჩნდეს აზრი, რომ დასავლეთევროპელები ხასიათებით დიდად არიან ერთიმეორისაგან განსხვავებულნი და რომ, მაგალითად, გერმანული ხასიათი იქნებ ამერიკულთან უფროა ახლოს, ვიდრე ფრანგულთან თუ ესპანურთან. მაგრამ სწორედ გერმანულმა სამეცნიერო აზრმა მოამზადა სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია (რომელმაც ჯერ კიდევ ფაშიზმის ხანაში დაიწყო ჩამოყალიბება) და პირველად სწორედ დასავლეთგერმანული ხელისუფლება შეუდგა მის განხორციელებას (ჩვენც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მშენებლობა დავისახეთ გარდამავალი პერიოდის მიზნად პირველივე წლებიდან, მაგრამ სამწუხაროდ ეს მიზანი საპირისპირო შედეგებმა გაახუნა).

მოვიყვანოთ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მაგალითიც. ეს კანონმდებლობა ორი ტიპისაა: ერთი კრძალავს მონოპოლიას, მეორე უფრო “რბილია”, არ კრძალავს მას, ზღუდავს მას იმ ქცევა-გადაწყვეტილებებში, რომელთაც ზიანი მოაქვთ საზოგადოებისათვის. პირველს, უფრო ხისტს, აშშ ახორციელებს და მანვე განავრცო იგი იაპონიაზე მეორე მსოფლიო ომში მისი დამარცხების შემდეგ. მაგრამ ეს კანონმდებლობა მოქმედებს ქვეყნის ფარგლებში, თორემ მსოფლიო ბაზრებზე წარმოდგენილ უმსხვილეს კორპორაციებს შორის უმრავლესობა სწორედ ამერიკული და იაპონურია. სავსებით სამართლიანად, საქართველომ ნიმუშად აიღო გერმანული კანონმდებობა. თუმცა, აქ იგი ეფექტიანად ვერ მუშაობს შესატყვისი ინსტიტუტების სისუსტის გამო.

დასავლეთევროპული ღირებულებები არაა ერთგვაროვანი და ბევრი მათგანი შეიძლება ჩავთვალოთ არათავსებადად არა მარტო ქართულ კულტურასთან, არამედ ერთმანეთთანაც. მაგრამ გლობალიზაციისა და ეკონომიკური ინტეგრაციის სიკეთეებსა და ევროპელთა ბუნებით სირბილეს თავისი გააქვთ: ევროკავშირი, რომელიც 28 სუვერენული სახელმწიფოსგან შედგება, ღირებულებათა მრავალფეროვნებას თავის სიმდიდრედ მიიჩნევს. მრავალფეროვნება არის ჩვენი ეპოქის ყველაზე დამახასიათებელი ზოგადი ნიშანიც საზოგადოებრივი ცხოვრების

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ყველა სფეროში. ხოლო ქართველმა ერმა დღეს კი არ დაინყო მრავალფეროვნებისკენ სწრაფვა, იგი ოდითგან იყო მისკენ მისწრაფული. ამ სწრაფვის პროდუქტია ჩვენი უნიკალური და ამავე დროს, უაღრესად მრავალფეროვანი, მაგრამ საერთო ეროვნული სულით აღბეჭდილი კულტურა. ესეც არის ერთი იმ ფაქტორთაგანი, რომელიც ჩვენი და დასავლეთევროპული ღირებულებების სულის სიახლოვეზე მეტყველებს და რომელშიც ჩვენ თავმოწონების საფუძველი გვაქვს ჩვენი პირველობით.

ილია ჭავჭავაძემ საუკუნენახევრის წინ აულო ალლო ქართული და ევროპული სულიერების ნათესაობასა და იმ სიკეთეს, რომლის მიღებაც ჩვენს ერს შეუძლია მოწინავე ევროპული ღირებულებების გაზიარებით და არა მარტო ჩვენს ერს. ილიას მიაჩნდა, რომ ეს ღირებულებები უნივერსალური ხასიათისაა და ყველასათვის არის მისაღები. ამის ნათელსაყოფად თავის “ივერიაში” აქვეყნებდა წერილებს ისეთი რუბრიკებით, როგორიცაა “შინაური მიმოხილვა”, “საპოლიტიკო მიმოხილვა” და სხვა. მან გააანალიზა ისეთ ღირებულებათა შინაარსი, როგორიც არის თავისუფლება, ქალთა უფლებები, ზნეობრივი სინმინდე (მისი მნიშვნელობა ერის მერმისისათვის), განიხილა ინგლისში შექმნილ დამხმარე საზოგადოებათა სიკეთე, მიუთითა საერთაშორისო სასამართლოს შემოღების აუცილებლობაზე. საქართველოსთვის საგულისხმოა მისი მითითება, რომ “საფრანგეთის ზნეობრივი ძალ-ღონე მამულის სიყვარულშია”. განსაკუთრებით ამახვილებდა დიდი ილია ყურადღებას იმაზე, რომ “კანონის წინაშე თანასწორობა საზოგადოების წესიერი აგებულების საფუძვლის ქვაკუთხედაა”, რომ “ერის ჯანმრთელობა სახელმწიფოს ერთი უდიდესი საზრუნავია”, რომ არსებობს “ისეთი დაწესებულების საჭიროება, სადაც შესაძლებელი იქნება გართობა, გასაუბრება, დასვენება”, და ა.შ. ევროპული ღირებულებების განხორციელება მას მიაჩნდა მთელი ერისა და თითოეული ადამიანის დაცვის, სახელმწიფოს უპირველეს საზრუნავად მათი კეთილდღეობის გადაქცევის, ადამიანის უფლებების, მისი სიცოცხლის, თავისუფლების, საკუთრების დაცულობის, თანასწორობისა და ჰარმონიის მიღწევის საშუალებად. საუბრობდა ქართული მწერლობის “ევროპეიზაციის” (ანუ ევროპულ ღირებულებებზე მისი ორიენტაციის) საჭიროებაზე.

ილია იწონებდა იაპონიის მაგალითს: “იაპონია ამ მხრით – წერდა იგი, – უფრო გაბედულად ირჯება. მისი ახალი ხელმწიფე დიდი მომხრეა ევროპის განათლებისა და ჰლამის დაუცხრომლად – ყოველიფერი, ნამეტნავად მმართველობა ქვეყნისა, ევროპის წესსა და რიგს შეუფეროს. დღეს იაპონიას ბევრი ევროპიულად განათლებული... ახალგაზრდობა ჰყავს... მწერლობა, ცოტად თუ ბევრად ფრთაშესხმულია და გავრცელებული, და ვინ იცის, – იქნება იაპონიამ პირველი მესვეურობა გაუწიოს აზიას ევროპის ცივილიზაციის ზემოქმედების ქვეშ წარსამატებლად და განთიადმა განათლებისამ თავისი სხივოსანი შუქი პირველ იქიადამ მოჰფინოს მთელ აზიასაც”. შემდეგ ილია იწონებს იმას, რომ სპარსეთმაც გაულო კარი ევროპის ცივილიზაციას. “ეხლანდელი შაჰის მეფობის დროს – წერს იგი – ბევრს ძველს ჩვეულებას, რომელიც სულსა და ხორცს სპარსეთისას ასე თუ ისე ჰხუთავდა, კბილი მოეჭრა. შაჰმა, რომელმაც რამდენჯერმე მოიარა ევროპა, ბევრს რასმეზე აიხილა თვალი და დაინახა თავის ქვეყანაში ბევრი უმსგავსობა და შეუფერებლობა. იგი სცდილობს ბევრი რამ ძველი განდევნოს, ბევრი ახალი რამ შემოიღოს. ამისათვის იგი თურმე არც იმის წინაშე უკუდგებაო, რომ თავისი ნება-უფლება შეიხუთოს, თუ ამას მოითხოვს ქვეყნის სიკეთე და ბედნიერება.”

მოტანილი ციტატები ეხება ღირებულებათა იმ კატეგორიას, რომელთა განხორციელებასა ან შეზღუდვაში პოლიტიკური ნება და ხელისუფალთა მცდელობა ასრულებს გადამწყვეტ როლს. მასვე ეხება დიდი ილიას ბევრი სხვა გამონათქვამი, მათ შორის, გამონათქვამები იმის შესახებ, რომ ევროპული გამოცდილების გაზიარებისას საქართველოში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს წესსა და რიგს სახელმწიფო მმართველობასა და თვითმმართველობაში და რომ ამის გაკეთება ითხოვს საკანონმდებლო და ეკონომიკურ რეფორმებს. ისეთი ღირებულებები, როგორებიცაა ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა და მის წინაშე თანასწორობა, საბაზრო ეკონომიკა, დემოკრატია, უსაფრთხოება და ა.შ., რომლებიც დღეს არ ჩამოდიან მედიასამუშაულებების ფურცლებიდან და ეკრანებიდან, ღირებულებათა სწორედ ამ კატეგორიას ეკუთვნიან. ჩვენი მოხსენების საგანიც – რომელი ევროპული ღირებულებები განვხორციელოთ და როგორ განვხორციელოთ ისინი საქართველოში – ხელისუფლების პოლიტიკურ ნებას, მის ძალისხმევას



ითხოვს. ოღონდ, ამ სფეროში დაგროვილი მჭარე გამოცდილება და ღირებულებათა წინააღმდეგობები გვეკატანობენ, რომ ყოველ ასეთ ნაბიჯს “ასჯერ გაზომვა” ესაჭიროება. ამ კუთხით დამაფიქრებელია **ევროკავშირის ლისაბონის ხელშეკრულების ის პუნქტიც, რომლის მიხედვითაც ევროკავშირმა ხელი უნდა შეუწყოს თავისი ღირებულებების გავრცელებას მთელს მსოფლიოში.** ამიტომ ჩვენი მოხსენების ზოგადი დასკვნა ასეთია: **უმჯობესია, თვითონ მოვახდინოთ ჩვენს ევროპულ კეთილისმსურველებთან ერთად იმის სკრუპულოზული გამოკვლევა, რა ევროპულმა ღირებულებებმა შეიძლება იხარონ ქართულ ნიადაგზე და რა არის საჭირო იმისათვის, რომ იხარონ.**

ვერ ვიტყვით, რომ ასეთ დებულებებს მიეკუთვნება: ადამიანის ღირსების პატივისცემა; პლურალიზმი (მრავალფეროვნება); დისკრიმინაციის დაუშვებლობა; შემწყნარებლობა; ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა და მათთან, რომლებიც ევროკავშირის დოკუმენტებშია წინა პლანზე წამოწეული – ვერ ვისაუბრებთ იმაზე, როგორ გავახაროთ ისინი ქართულ ნიადაგზე, რაკი ისინი ამ ნიადაგზე (მასზეცაა) ნაშობი. ქართველი ხალხის ორიენტირი დასაბამიდან იყო ისეთი ღირებულებებიც, როგორებიცაა: თავისუფლება; ადამიანის უფლებების, მათ შორის, უმცირესობის უფლებების დაცვა და იმავე დოკუმენტებში დასახელებული ზოგი სხვა ღირებულება. ყოველივე ამით შეგვიძლია ვიამაყოთ და ამიტომაც მიგვაჩნია ევროპული კულტურა ჩვენთვის მახლობლად. გასარკვევი ის არის, რა პირობებში, რა ფორმითა და საშუალებებით (რა ინსტიტუტებით) ხორციელდება დღეს ისინი იქ და აქ. იქ ინსტიტუტები ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე ყალიბდებოდა და ეს ხდებოდა საზოგადოებრივ-ეკონომიკური სტრუქტურების ცვლილება-განვითარების კვალდაკვალ და მათთან მისადაგებით. ჩვენ კი ჯერ მხოლოდ სვლა დავინწყეთ თანამდროვე სტრუქტურებისკენ და დავინწყეთ იგი ზიგზაგებით, შეფერხებებითა და უკუსვლებთან შეწყვილებით. ამის შედეგია დასახელებულ ღირებულებათა სხვადასხვაგვარი დეფორმაცია და მათი არათანმიმდევრული განხორციელება.

ამის შედეგია ჩვენი მკვეთრი ჩარმოჩენაც ისეთი ღირებულებითი ორიენტირების დაცვაში, როგორებიცაა კანონის უზენაესობა და სამართლიანობა, რომლებიც ასევეა დასახელებული ევროკავშირის დოკუმენტებში ზემოთ ჩამოთვლილ ღირებულებათა გვერდით. კანონის უპატივცემულობას საფუძველი ჩაეყარა უკვე

საბჭოთა ხანაში, როდესაც ხელისუფლება ველარ აკავებდა ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდას და როდესაც მდიდრული ან თუნდ ნორმალური ცხოვრების ძირითად წყაროდ მასობრივად იქცა ყალბისმქნელობა. კანონი ერთს ითხოვდა, ცხოვრება – მეორეს და ამ დაპირისპირებამ შვა მძლავრი კორუფციული მანქანა. პოსტსაბჭოური პერიოდის თავდაპირველმა ქაოსმა კიდევ უფრო გაამძაფრა ეს პროცესები. მათ შორის პრივატიზაციაც ელიტარულ-მიმტაცებლური ნიშნით წარიმართა. თუ იმხანად სამართალს სამართლიანობის რალაც ნიშანწყალი დაეტყო, ეს მოხდა პარადოქსულად – მიმტევებლურად წვრილ კანონდამრღვევთა მიმართ, რომელთა უმრავლესობას არსებობის სხვა საშუალება აღარ გააჩნდა. ხოლო არაკანონიერების მიტევება, სათავეშივე თუ არა, მერე და მერე მაინც, კორუფციის შენაკადი ხდება.

კორუფციულ მანქანას დრო მხოლოდ სახეს უცვლიდა, თორემ იგი, პატარ-პატარა პაუზების შემდეგ, კვლავ წელში იმართებოდა და არც ახლავა შექმნილი იმის პირობები, რომ მან კვლავ უფროდაუფრო არ იბარტყოს. სოციალური დიფერენციაციაც, ბუნებრივია, ჩვენთან საბაზრო მექანიზმის შედეგად კი არ გაღრმავდა, არამედ – უსამართლობის შედეგად და ყველაფერზე მეტად ამან გამოიწვია ღირებულებითი ორიენტირების სისტემური დეფორმაცია.

ვითარების გასაჯანსაღებლად ჩვენ უთუოდ დაგვჭირდება ევროპული გამოცდილების შესწავლა და გაზიარება, მარამ ევროპასთან “ფეხანწყობილ” სვლას, ჯერჯერობით მაინც ვერ შევძლებთ და ნურც შევეცდებით. არც ინერცია მოგვცემს ამის საშუალებას და არც სადღეისოდ ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური სტრუქტურები. სამართლებრივი ინსტიტუტების ადმინისტრაციულ „გამაგრებას“ კი, ვაითუ, მხოლოდ ის მოჰყვეს, რომ ჩვენი კორუფციონერების ნაწილმა, რომელიც დღეს ხისტი მეთოდებითაც გადის ფონს, „ფეხი აუწყოს“ დასავლეთში გამოყენებულ “ცივილურ” მეთოდებს. იქაც ხომ არის კორუფცია!

ამტკიცებენ, კორუფციის ვირუსი ფინეთში ვერასდროს იხარებსო და ამას ფინელთა ისეთი ღირებულებითი ორიენტირებით ხსნიან, როგორიცაა: ფინელებს არა აქვთ ფუფუნებისაკენ სწრაფვა – ფუფუნება სულელთა შუასაუკუნეების აღმოსავლურ გართობად მიაჩნიათ; ისინი ხალხის მოძულეობად თვლიან მის ხარჯზე გამდიდრებას, ხოლო მომავალი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

თაობების მოძულეობად – საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვას: მათ სწამთ, რომ ჯობს მათმა შვილებმა და შვილიშვილებმა თვითონ გაიკაფონ ცხოვრების გზა; სწამთ, რომ ქურდი ვერსდროს გახდება თავისუფალი, რაკი ვერ განთავისუფლდება თავისუფლების აღკვეთის შიშისაგან.

ღირს ინფორმაციის გავრცელება ამ მაღალ და ლამაზ ღირებულებათა შესახებ, ოღონდ უტოპიური იქნებოდა ოცნება იმაზე, რომ ამით შევძლებთ მათ „გადმოღებას“. მათ მხოლოდ დღევანდელი სტრუქტურები კი არ გადაღობებოდა წინ, არამედ თვით ქართველიც თავისი, ფინელისაგან განსხვავებული, ხასიათით, რომელიც სადღეისოდ ამ სტრუქტურებსაა მისადაგებული. თორემ არ გვგონია, ფინელი ქართველს სიყვარულის თაყვანისცემასა და სიძულვილის გამოხატვაში გაეჯიბროს. ქართველი მხოლოდ იმას ამჯობინებს, რომ თვითონ გასწიოს ხელგამლით ქველმოქმედება და აქეთ არ გახდეს მისი მთხოვნელი. ამ ორ ვარიანტს შორის კიდევ არის ერთი: მოსაწყენი და ხშირ შემთხვევაში, აუტანელი ღარიბული ცხოვრება. ჩვენი ხალხის უმრავლესობა მიეჩნია მას, ოღონდ – არ შეჰგუებია. ბევრი გაცვლიდა სიღარიბეს ფუფუნებაზე თუნდ დიდი რისკის ფასად. სწორედ ეს არის კორუფციის საშიში რეზერვი.

ჩვენ არ ვუდარებთ ერთმანეთს ამ ორი ერის აქ დასახელებულ ღირებულებით ორიენტირთა ავ-კარგს. გამოვდივართ მხოლოდ იქიდან, რომ მაქსიმალიზმი სულაც არ არის ქართველის ბუნებითი ნაკლოვანება – რომ მისი მახინჯი გამვლენა არსებული სტრუქტურებითა და მდგომარეობით არის განპირობებული. სანამ ისინი არ შეიცვლება, პროპაგანდა და კანონის გამკაცრება ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს. **გამოსავალი ის არის, რომ ქართველის მაქსიმალიზმის დათრგუნვას კი არ შევეცადოთ, არამედ იმ სტრუქტურების შეცვლას, რომელიც ხელს უშლიან მის საღ გამოვლინებას.** საქმე თითქოს უკიდევანო სისტემურ-სტრუქტურულ ცვლილებებს ეხება, მაგრამ, ჩვენი აზრით, მისი გადანყვეტის გასაღები ერთი დემოკრატიული ინსტიტუტის განვითარებაში უნდა ვეძიოთ. ეს ინსტიტუტია ტერიტორიული (ადგილობრივი) თვითმმართველობა.

დასავლეთ ევროპაში მას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა 1980-იან წლებში. რატომ უფრო ადრე არა? უფრო ადრე, 30-50-იანი წლებიდან, მაკროეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში განხორციელებულმა კეინსიანურმა

რევოლუციამ გაზარდა სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციები, რასაც 70-იან წლებამდე წარმატება წარმატებაზე მოჰქონდა. სახელმწიფო “დამძიმდა” და იმის მონათესავე სენით დაავადდა, რომლითაც საბჭოთა სახელმწიფო: კორუფციითა და მოუქნელობით. 70-80-იანი წლების მიჯნაზე კი მმართველობის საჭესთან მოვიდნენ ახალი ძალები, რომელთა მიერ განხორციელებული რეფორმების, კერძოდ – განსახელმწიფოებრივების, ნაკადში მოექცა ადგილობრივი თვითმმართველობაც: სახელმწიფომ გააფართოვა მისი უფლებები და მოახდინა თავისი ფუნქციების ნაწილის მასზე დელეგირება. დემოკრატიის განვითარებას ამან ხელი უთუოდ შეუწყო, მაგრამ ადგილობრივი აპარატი სახელმწიფო აპარატის დანამატად აქცია: მას დაეკისრა იმ ადგილობრივი მნიშვნელობის საზოგადოებრივი სიკეთეების მინოდება, რომელსაც სახელმწიფო ვერ გასწვდა. იგივე მოდელი 1997 წლიდან დაინერგა ჩვენთან და იგი აქ კორუფციული მანქანის ნაწილადაც იქცა. ევროპაში ცდილობენ მაინც იმას, რომ ფართო საზოგადოება ჩააბან თვითმმართველობის საქმიანობაში, ჩვენთან მსგავსი მცდელობაც ფორმალურია. რეალური რომ იყოს, ან მაშინ ვინ შეინუხებდა თავს უანგაროდ – საზოგადოებრივ საწყისებზე – მიელო მონაწილეობა, ვთქვათ, ბიბლიოთეკების ქსელის, გამწვანების, დასუფთავების, საქალაქო ტრანსპორტისა თუ სხვა საერთო საქმეების გადანყვეტაში? ასეთია საზოგადოებრივი სიკეთეების ბუნება: ყველას უნდა, მათი მინოდების საქმე სხვისი ხელით აკეთოს.

ჭეშმარიტი თვითმმართველობის ვერტიკალი მიმართული უნდა იყოს სახელმწიფო ვერტიკალის საპირისპიროდ, ქვემოდან ზემოთ („რიგითებისგან“ თვითმმართველობის ორგანოსკენ როგორც აღმსრულებლისკენ) და არის კიდევ მიმართული იქ, სადაც ნამდვილი თვითმმართველობა არსებობს. ასე არ არის ადგილობრივ თვითმმართველობაში და ვერც იქნება (როგორც პირადი კონტაქტებით ვიცით, მას ევროპაშიც უჭირს). ვერ იქნება იმიტომ, რომ იგი სახელმწიფოსგანაა ინიცირებული და არ არის „ამოშენებული“ ქვემოდან ანუ არ არის შექმნილი თვით მოსახლეობის მიერ თავისი მრავალფეროვანი ინტერესების განსახორციელებლად. ამ მიზნებით მოსახლეობა ათასგვარ (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) გაერთიანებას ქმნის და **არავის მოსდის აზრად, რომ ერთ სტრუქტურაში მოახდინოს სამომხმარებლო ტიპის საზოგადოებებისა**

**და საზოგადოებრივ სიკეთეთა მიწოდების ფუნქციების სინთეზი.**

ჭეშმარიტი თვითმმართველობა ადგილობრივი ხელისუფლების მიღმა არსებობს და ვითარდება (როგორც სამომხმარებლო, ისე სხვა, სააქციო, პარტნიორულ) საზოგადოებებში. მისი არსებობის საძირკველს არ წარმოადგენდა და არც დღეს წარმოადგენს საზოგადოებრივ სიკეთეთა მიწოდება. ხოლო თვითმმართველობის პირობა ორია: მონაწილეთა თანასწორობა და მათი მონაწილეობა საერთო საკუთრებაში.

ისტორიული თემიც ამ პრინციპზე იყო აგებული: თავისუფალი იქნებოდა თუ ფეოდალური სტრუქტურის ერთეული, იგი წარმოადგენდა ტერიტორიულ-სამეურნეო მთლიანობას პირადი (კერძო) და სათემო საკუთრების შეხამებით. სწორედ ქართულმა თემმა დაუდო საძირკველი ჩვენი საერთო-ეროვნული ღირებულებების უმეტესობას, რომელთა შორის აქ განსაკუთრებულად აღვნიშნავთ თანადგომას ქირსა თუ ლხინში. ქვრივ-ობოლს სოფელი განიკითხავდა და მეურნეობის გაძლოლაშიც იგი ეხმარებოდა. ანუ სამეურნეოსთან ერთად თემი სოციალურ ფუნქციასაც ასრულებდა. დემოკრატიისა და თვითმმართველობის ცნებები ახლოსაა ერთმიმეორესთან ისტორიულ თემთან მიმართებაში, მათ შორის, ახლოსაა ანტიკური ხანისა თუ შუასაუკუნეების ქალაქებთან მიმართებაშიც, სადაც თვითმმართველობის სუბიექტებად გამოდიოდნენ პრივილიგებული ფენები – პატრიციები, ვაჭართა გილდიები, ხელოსანთა ამქრის ოსტატები.

საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ, ნატურალურ მეურნეობათა რღვევამ და ადგილობრივი ეკონომიკური კავშირთა ერთობების დიდი ნაწილის განყვეტამ ბევრი ფუნქცია დაუკარგა ადგილობრივ თვითმმართველობას და დააკნინა იგი. ამან პოვა გამოხატულება, მაგალითად, იმაში, რომ ნაპოლეონმა მსხვილი ისტორიული პროვინციები მომცრო დეპარტამენტებით შეცვალა და ამით თვითმმართველ კომუნებზე ზედამხედველობა გააძლიერა. ამავე მიმართულებით კიდევ უფრო განვითარდა პროცესები XX საუკუნის შუხანებიდან, რაზეც ზემოთაც ითქვა. ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ 1980-იან წლებში, თვითმმართველობის რეფორმისას, ევროპაში აღარავის გახსენებია მისი ტრადიციები. ისინი უკვე მივიწყებული იყო.

ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა ის ღირებულებები, რომლებიც ისტორიულ თემში

ჩამოუყალიბდა. სამწუხაროდ, ბოლო ათწლეულების ძნელბედობის ფონზე თანდათან კარგავენ ძალას ძველი მეზობლური და ნათესაური ურთიერთობები, მაგრამ ისინი ჯერაც არ არიან დაზინყებული და ნიადაგს უქმნიან ჭეშმარიტი თვითმმართველობის გაჩენას თავდაპირველად მცირე ტერიტორიულ ერთეულებში, რომლებიდანაც შესაძლებელია მომავალში ამოიზარდოს ტერიტორიული თვითმმართველობის სისტემა. ამის მცდელობას ჯერ კიდევ 1986-1991 წლებში ჰქონდა ადგილი ექსპერიმენტული სამომხმარებლო-საწარმოო კოოპერაციულ გაერთიანება „ვერისუბანში“, რომელიც ამ სტრიქოების ერთი თანაავტორის (მ. გველესიანის) ხელმძღვანელობით შეიქმნა და რომელსაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი მეურვეობდა. მსგავსი მცდელობა დღევანდელ საინფორმაციო-ტექნოლოგიურ პირობებში მეტი წარმატებით შეიძლება განხორციელდეს ტერიტორიული სააქციო საზოგადოების ფორმით. საჭიროა მხოლოდ სანყისი კაპიტალი, რომელზე დაყრდნობითაც მიკროუბნის მოსახლეობა დაინტერესდება თვითმმართველობის ამ უჯრედის სამეურნეო და სოციალური ფუნქციებით და განვერიანდება მასში [გველესიანი, 2002]. აქ მხოლოდ დავასახელებთ ზოგიერთ საკვანძო ფუნქციას.

- სოციალური ფუნქცია: დივიდენდის ანგარიშზე საზოგადოების საკუთრებასა ან თანასაკუთრებაში არსებული დამხმარე მეურნეობის პროდუქტების შეღავათიან ფასად განაწილება („ვერისუბანში“ ეს ხდებოდა 50%-იანი ფასდაკლებით);
- დამხმარე სამეურნეო ფუნქცია: სავაჭრო, საზვევის, სატრანსპორტო, საყოფაცხოვრებო, პედაგოგიური და სხვა მომსახურებისა;
- დამხმარე საქმიანობაში მიკროტერიტორიაზე მცხოვრებ უმუშევართა და ნაწილობრივ შრომისუნარიანთა დასაქმების ფუნქცია;
- საკუთრებაში (თანასაკუთრებაში) არსებული სამეურნეო ობიექტების მართვასა და პროდუქტის ხარისხის კონტროლში მიკროტერიტორიული ერთეულის მცხოვრებთა მოზიდვის ფუნქცია;
- მცირე ბიზნესის ხელშეწყობის ფუნქცია;
- ადგილობრივი წვრილმანი საერთო საქმეების (საზოგადოებრივი სიკეთეების მიწოდების საკითხთა) გადაწყვეტაში მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის ფუნქცია;



- მომხმარებლის მარკეტინგის ფუნქცია და მრავალი სხვა.

ნათელია, რომ თითოეული ამ ფუნქციის განხორციელება ღირებულებათა განხორციელებას გულისხმობს. მოკლედ შევჩერდებით ზოგ მათგანზე.

მიკროტერიტორიული სააქციო საზოგადოების თანამშრომლობა მუნიციპალიტეტთან წარმოადგენს გზას, რომლითაც ადამიანები მასობრივად გამოხატავენ თავიანთ ნებას ამა თუ იმ საერთო (მუნიციპალური) საკითხის გადაწყვეტაში, ანუ რეალური შინაარსით ავსებს ადგილობრივ თვითმმართველობას.

რაც შეეხება მომხმარებლის მარკეტინგს, აქ ალბათ თვით ეს ტერმინი გააოცებს იმათ, ვისაც მარკეტინგი მხოლოდ ფირმების საქმედ წარმოუდგენიათ. მაგრამ დღეს მარკეტინგს, როგორც ამას ავტორიტეტული მეცნიერები უთითებენ, ახორციელებენ მომხმარებლებიც. ოღონდ მომხმარებლები, უმთავრესად დაქსაქსულად, გათითოკაცებულად ეძებენ საიმედო და

პერსპექტიულ მიმწოდებელს. ორგანიზებული და უნივერსალური საქმიანობა ამ მიმართულებით შეუძლია განახორციელოს მხოლოდ ტერიტორიულ სააქციო საზოგადოებას. დღეს, განსაკუთრებით კი – საქართველოს დღევანდებლობაში, მხოლოდ იგი შეიძლება გადაიქცეს მიმწოდებლის მონოპოლიის საპირინონე ორგანიზაციადა, ანუ შეაკავოს ზენოლა მოხმარებელზე.

მას შეუძლია, გადაიქცეს მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთ-ერთ საყრდენადაც. 1980-იანი წლების მიჯნაზე მარგარეტ ტეტჩერი სათავეში ედგა თავის ქვეყანაში პრივატიზაციის კამპანიას ლოზუნგით – „გადავაქციოთ ყოველი ბრიტანელი აქციონერად“. რეფორმას ამ მხრივ დადებითი, მაგრამ უმნიშვნელო შედეგი ჰქონდა. ტერიტორიულ სააქციო საზოგადოებას შეუძლია უფრო სოლიდური შედეგის მოცემა.

ამ და მსგავსი გზებითა და მეთოდებით გვესახება საქართველოში ჩვენთვის მონათესავე ევროპული ღირებულებების განხორციელება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გველესიანი, მ. (2002). ადგილობრივი თვითმმართველობა: გუშინ, დღეს, ხვალ. თბილისი.

## European Values: What Can We Implement from Them and How Can We Implement Them in Georgia

**Merab Gvelesiani**

Doctor of Economic Sciences,  
Georgian Technical University Professor emeritus

**Shota Veshapidze**

Doctor of Economic Sciences,  
Professor, David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

**Key words:**

THE VALUES, ILIA CHAVCHAVADZE, EUROPEAN VALUES

### Summary

The report deals with the use of which nations are taking each other to enrich the national values as a result. Analyzes the European and Georgian values proximity, on which still a great Ilia Chavchavadze claimed.

Speakers will talk at national values impact factors on the level of corruption; Giving a comparative analysis of local government reforms in Europe (where they began 1980) and Georgia (which began in 1997), It notes that in the beginning of self-governing Georgia took more formal, while the tradition of the Georgian people may create self-exemplary model.